საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3133/01
30/03/2022

3133-01-2-202203301623

შპს „კავკას პლასტს“

მის: ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი,

გლდანი, II მ/რ. კორ. 38, ბ.144

ელ.ფოსტა: kavkasplast@yahoo.com

ასლი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეობას

ასლი: სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2022 წლის 14 მარტს წარმოდგენილ იქნა N5355 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში შპს ,,კავკას პლასტის'' პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) და პლასტმასის ნაკეთობების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშს.

დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ სამინისტროში წარმოდგენილი წერილის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: № 01.12.03.016.006) ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა, რომლისთვისაც არ არის დადგენილი სამშენებლოდ განვითარების კონკრეტული პარამეტრები. ამასთან წერილში მითითებულია, რომ **საპროექტო ფუნქციის (პლასტმასის ნარჩენების გადაამუშავებელი) მქონე საწარმო არ წარმოადგენს არცერთი საცხოვრებელი ზონისთვის დასაშვებ და არც სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დასაშვებ სახეობას.** დანართის სახით გიგზავნით სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილს.

გთხოვთ, უზრუნველყოთ საპროექტო ტერიტორიის ზონირებასთან დაკავშირებით საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან შეთანხმება. შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით სამინისტრო ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული დოკუმენტაციის და შეთანხმების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენის შემდეგ.

დამატებით გაცნობებთ, რომ 2022 წლის 4 აპრილს 14:00 საათზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეობის შენობაში დაგეგმილი **სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა აღარ გაიმართება.**

დანართი: ტექსტის მიხედვით

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე